საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2344 2015 წლის 29 ოქტომბერი ქ. თბილისი

დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ

1. ნება დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან მიმართოს საჭირო თანხა დევნილთა საკუთრებაში არსებულ მრავალბინიან სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარების მიზნით აუცილებელი სამუშაოების თანადაფინანსებისათვის.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

48386/01
2 11